სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №30

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება. მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
2. სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: 2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ხარჯებიდან 40.000 (ორმოცი ათასი) ლარი გადატანილ იქნეს კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯებში. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
3. სტუ-ს 2007 წლის 155-ე ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის საკითხის განხილვა (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
4. სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი პროფ. ბადურ ჭუნაშვილი)
5. მიმდინარე საკითხები:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიაზე – სკვერში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მონუმენტის დადგმის შესახებ საკითხის განხილვა. (მომხსენებელი ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ წიგნაძე).

ბ) ინფორმაცია სტუ-ს გერმანულენოვანი ინსტიტუტის ფუნქციონირების შესახებ (მომხსენებელი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი პროფ. გენადი იაშვილი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 8 აპრილის სხდომის

ოქმი №30

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 45. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი). მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შეტანილი იქნა შესწორებები, კერძოდ: სტუდენტმა ბენო გეგეჭკორმა გვთხოვა დაგვემატებინა მიმდინარე საკითხებში, დამატებით, ერთი საკითხი, ხოლო პროფ. გენადი იაშვილმა ითხოვა მიმდინარე საკითხებიდან ბ) პუნქტის ამოღება. სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით დამტკიცდა ერთხმად.

სპიკერმა ხმის დამთვლელი კომისიის წევრებს: პროფ. გენადი იაშვილს, პროფ. ხათუნა ჟვანიას და სტუდენტ პაატა მალაზონიას, თხოვა დაეკავებინათ თავიანთი ადგილები. პროფესორმა პროფ. იგორ კვესელავამ მოითხოვა სიტყვა განცხადებისათვის. სპიკერმა სიტყვა მისცა პროფ. იგორ კვესელავას.

პროფ. იგორ კვესელავა – მინდა განვაცხადო, რომ რემონტების ტენდერში გაიმარჯვა ჯგუფმა, რომელიც რემონტებს აკეთებს უხარისხოდ. ვინ აწერს ხელს მიღება–ჩაბარების აქტზე? უნდა გამოიყოს კომისია და შემოწმდეს სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარისხი. მე ვთხოვ ხელმძღვანელობას ყურადრება მიაქციოს და გააკონტროლოს ეს პროცესი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს საკითხი წარმომადგენლობით საბჭოზე გადასაწყვეტი არ არის. ასეთი პრობლემების შემთხვევაში მომმართეთ მე განცხადებით. რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტებს, ამას აკეთებს სამეურნეო სამსახური და სწორედ ის აგებს ამაზე პასუხს.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – ვიდრე პირველ საკითხს წარმოგიდგენდეთ, ნება მომეცით წაგიკითხოთ წერილი, რომლითაც დღეს დილას მომმართა პროფ. სერგო ესაძემ, რადგან იგი კავშირშია დღის წესრიგის პირველ საკითხთან. სპიკერმა გააცნო დამსწრეთ წერილის შინაარსი (იხ. წერილი). წერილთან დაკავშირებით საბჭოს წევრების მხრიდან კომენტარები არ გაკეთებულა. სიტყვა მოითხოვა სტუ-ს რექტორმა პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა.

სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ბ-ნ სერგოს ფუნქციებში არ შედის საშტატო ცვლილებები. ეს არის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების პრეროგატივა. ერთი თვეა, ბ-ნ დავით ჯაფარიძესთან, მიმდინარობს კონსულტაციები. დრო არ ითმენს, ფუნქციები უკვე განაწილებულია, თანაც ეს წაადგება ტექნიკურ უნივრსიტეტის განვითარებას. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – კანონში არ წერია, რომ უნივერსიტეტს არ შეუძლია შექმნას სხვა განყოფილებები და სტრუქტურები. მე ვფიქრობ არაფერი ხელს არ უშლის განვიხილოთ ეს საკითხი.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ.

ქეთევან ქოქრაშვილი). ამასთან მოგახსენებთ, რომ ეს საკითხი განიხილა საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, რომელმაც დადებითად შეაფასა შეტანილი საშტატო განრიგში შეტანილი ცვლილებები და მიიღო გადაწყვეტილება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში მოხდა ცვლილებები, გაგაცნობთ ამ ცვლილებებს: საშტატო განრიგს დაემატა რექტორის 1 მოადგილე, ასევე შემდეგი სამსახურები და დეპარტამენტები (იხ. დანართი 2; სამსახურებისა და დეპარტამენტების დებულებები):

1. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური;
2. პერსპექტიული განვითარების სამსახური;
3. სწავლების დეპარტამენტი;
4. მეცნიერების დეპარტამენტი;
5. კომერციალიზაციის დეპარტამენტი.

რექტორის აპარატს დაემატა: რექტორის მრჩეველი და პროექტების კოორდინატორი.

სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ამ ხალხს ჯერ-ჯერობით პირველ აგვისტომდე ავიყვანთ ხელშეკრულებით, ხოლო მოადგილეებზე კონკურსი არ ცხადდება.

პროფ. ჯემალ ბერიძე – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს, დავამატოთ საზოგადოებასთან ურთიერთობაც.

სიტყვა მოითხოვა სტუ-ს რექტორმა პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – გიპასუხებთ, ეს გათვალისწინებულია ახალ საშტატო განრიგში. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ იქმნება ეს სტრუქტურები? ალოგიკური და გამოგონილი არაფერია. რექტორს ირჩევენ არა მარტო პიროვნული ღირსებების საფუძველზე, არამედ თავისი გეგმების გამოც. სტუ-ს პერსპექტიული განვითარების გეგმას მე მხოლოდ ასე ვხედავ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ დავმკვიდრდეთ როგორც ბრენდი. არის უნივერსიტეტები, სადაც კვლევა ხდება და ამ კვლევაზე დამკვიდრებული სწავლება. ეს არის ყველაზე მაღალი დონის უნივერსიტეტები. ამ კვლევით უნივერსიტეტებზე არის ძალიან დიდი მოთხოვნა. ლოლაძის დროს სტუ იყო I ადგილზე საბჭოთა კავშირში კვლევითი სამუშაოების მოცულობით. ჩვენ ამაზე უარს ვერ ვიტყვით და ვერ გადავალთ მეორეხარისხოვანი უნივერსიტეტის ან

სათემო კოლეჯის დონეზე. მე ასე მიმაჩნია მართვა. თუ ვინმეს ამის შესახებ პრეტენზია აქვს დაასაბუთოს და პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე.

ინოვაცია–სამეცნიერო–სასწავლო–საწარმო. ეს არის ჩემი სამოქმედო გეგმა. კომერციალიზაცია არის ინოვაციური პროდუქტის მიყვანა კომერციამდე. ამისათვის იქმნება ახალი სტრუქტურა. ეს სიახლე არის სტუ-ს კეთილდღეობისთვის. ევროპაში და ამერიკაში არც ერთი უნივერსიტეტი არ მუშაობს კომერციალიზაციის გარეშე. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ გრანტების მოზიდვაზე. სტუ უნდა გახდეს IT –ს სტანდარტის შესაბამისი.

მაღალი დონის უნივერსიტეტებში სტუდენტებიდან მიღებული გადასახადები მაქსიმუმ 25-30% შეადგენს, ამაში შედის სახელმწიფო დოტაციაც. დანარჩენი 20% კვლევების შედეგად არის მიღებული. 50% უნდა მოიზიდონ სხვა დაწესებულებიდან. სანამ ჩვენ არ გადავალთ წარმოებაზე ჩვენ, დიდი შემოსავალი არ გვექნება. სტუდენტი სწავლობენ საწარმოდან, ეს არის ცოდნის მიღება რეალურ გარემოში.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დარგობრივი სპეციალისტის გაზრდას. ამას უზარმაზარი თანხა ჭირდება. მაგალითად, გეოლოგმა კარავში უნდა იცხოვროს და ელემენტარულად იკვებოს, ეს კი ხარჯებთანაა დაკავშირებული. მაგალითად ჩინეთში, არ იგრძნობა ეკონომიკური კრიზისი, რადგან იქ არის ცენტრალიზებული და ლიბერალური მმართველობა.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ცენტრალიზებული მართვა არის სწორი. ამიტომ უნდა არსებობდეს რექტორი, რომელიც ამას აწესრიგებს.

პროფ. დემურ ტალახაძე – საჭიროა სპეციალიზაციის შემოღება. მაგისტრატურაში, ახალგაზრდა სამუშაო გამოცდილებით უნდა მოდიოდეს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ბატონო არჩილ, ძალიან ბევრი კითხვა იყო სტრუქტურასთან დაკავშირებით. კარგია, რომ თქვენ მოგვეცით სრული ანალიზი. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ ცვლილების განხორციელებას.

სპიკერი – გთხოვთ კენჭი ვუყაროთ საშტატო განრიგში წარმოდგენილ ცვლილებებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა:

1. დაემატოს ერთი რექტორის მოადგილის და თანაშემწის საშტატო ერთეული (ორი საშტატო ერთეული);

2. შეიქმნას ერთი რექტორის მრჩეველის და პროექტების კოორდინატორის საშტატო ერთეულები (ორი საშტატო ერთეული);

3. სტუ-ს არსებულ საშტატო განრიგში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:,

ა) შეიქმნას ორი საუნივერსიტეტო სამსახური: – საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური (8 საშტატო ერთეული); და პერსპექტიული განვითარების სამსახური (4 საშტატო ერთეული);

ბ) შეიქმნას კომერციალიზაციის დეპარტამენტი (4 საშტატო ერთეული)

გ) შეიქმნას – პოლიტექნიკური მუზეუმი (3 საშტატო ერთეული).

დ) სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გაიყოს და შეიქმას: ორი დეპარტამენტი – მეცნიერების დეპარტამენტი და სწავლების დეპარტამენტი (არსებული საშტატო ერთეულების შენარჩუნებით). სწავლების დეპარტამენტში გაუქმდეს სექტორის უფროსის საშტატო ერთეული და გადაკეთდეს მთავარი სპეციალისტის საშტატო ერთეულად;

ე) ერთი უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული დაემატა საგამომცემლო სახლს "ტექნიკური უნივერსიტეტი". (იხ. დანართი №1);

4. სტუ-ს 2009 წლის შრომის ანაზღაურების მუხლში ხელფასის წილი გაიზარდოს 128 960 ლარით, ამავე ოდენობით შემცირდეს დანამატის წილი;

5. ახალი საშტატო განრიგის მიხედვით ხელფასები გაიცეს მიმდინარე წლის 1 მაისიდან.

ასევე დამტკიცდა – კომერციალიზაციის დეპარტამენტის, პერსპექტიული განვითარების სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების

სამსახურის, სწავლების დეპარტამენტის და მეცნიერების დეპარტამენტის დებულებები.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება, (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – შემოგვაქვს წინადადება, რომ სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ხარჯებიდან 40.000 (ორმოცი ათასი) ლარი გადატანილი იქნეს კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯებში. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველია ელექტრო გაყვენილობის ავარიით გამოწვეული ფორსმაჟორული სიტუაცია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება, კერძოდ: 2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ხარჯებიდან 40.000 (ორმოცი ათასი) ლარი გადატანილ იქნეს კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯებში. (იხ. დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება: 2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ელექტროენერგიის ხარჯებიდან 40.000 (ორმოცი ათასი) ლარი გადატანილი იქნეს კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯებში.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – სტუ-ს 2007 წლის №155-ე ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის საკითხის განხილვა (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ ვიხდით ამორტიზირებული ქონების გადასახადს, ამიტომ ისინი ჩამოიწერა და უნდა გადაეცეს ეკონომიკის სამინისტროს. წარმოდგენილი გვაქვს ძირითადი საშუალებების ნუსხა ფაკულტეტების მიხედვით, რომელთა ჩამოწერაც განხორციელდა. (იხ. დანართები 1 – 6-მდე)

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მე-3 საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს 2007 წლის №155-ე ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ჩამოწერილი იქნეს:

ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებები დანართი 1,2,3,4,5,6-ის შესაბამისად, 507483-07 ლარის ღირებულებით;

ბ) გარდა აღნიშნულისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეაბილიტაციო პროგრამის შესრულების შედეგად სასწავლო კორპუსებში გამონთავისუფლებულია 60 ცალი ბაქოს წარმოების კონდიციონერი, გამოუსადეგარი თუჯის რადიატორები, მოახლოებითი წონით 3360 კგ. და 72 კათედრაზე 640 ცალი ალუმინის ფილა.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი პროფ. ბადურ ჭუნაშვილი).

პროფ. ბადურ ჭუნაშვილი – მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსებისა და ელექტრომომარაგების სამეცნიერო-საიჟინრო ცენტრის შექმნის საკითხი და დაამტკიცა მისი დებულება. ამასთან ერთად, ჩვენს ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა 1 ინსტიტუტი და 3 ცენტრი, რომლებიც სტრუქტურაში არ იყო მოხვედრილი. ეს საკითხიც განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე და ყველა ერთეული შეტანილია სტრუქტურაში.

სპიკერი – ბატონო ბადურ ამ ახალი ცენტრის გაჩენა არ იწვევს ცვლილებას ბიუჯეტში?

პროფ. ბადურ ჭუნაშვილი – არა, ეს ცენტრი არასაბიუჯეტოა, ანუ თვითდაფინანსებაზეა და პირიქით, შეიძლება რაღაცა სარგებელი ინსტიტუტმაც ნახოს.

სპიკერი – ეს საკითხი განხილულია, როგორც საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიაზე, ასევე და საპროცედურო საკითხთა შემსწავლელი და შემმუშავებელი მუდმივმოქმედი კომისიაზე. ამდენად უფლებამოსილი ვარ დავაყენო იგი კენჭისყრაზე

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილების დამტკიცება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომაზე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის პროფ. ბადურ ჭუნაშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე "ელექტროტექნოლოგიური

დანადგარების, კომპლექსების და ელექტრომომარაგების" სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის შექმნის შესახებ და ფაკულტეტის სტრუქტურაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის დამტკიცების შესახებ, (რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2009 წლის 25 მარტს).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მომუშავე "ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსების და ელექტრომომარაგების" სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი და ფაკულტეტის სტრუქტურაში შეტანილი იქნეს სათანადო ცვლილებები.

(იხ დანართი 4).

სპიკერი – წარმოგიდგენთ მიმდინარე საკითხების ა) პუნქტს. ამ საკითხთან დაკავშირებით მე, მომმართა ბატონმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა, კერძოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიაზე – სკვერში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მონუმენტის დადგმის შესახებ. ამ საკითხს განსახილველად წარმოგიდგენთ – ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი ბ-ნი ნოდარ წიგნაძე.

ბ-ნი ნოდარ წიგნაძე – ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორატს გაუჩნდა იდეა, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიაზე – სკვერში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მონუმენტის დადგმის შესახებ.

სპიკერი – იდეა კარგია, მაგრამ უმჯობესი იქნება ადგილი დავაზუსტოთ, რადგან ქალაქის არქიტექტურის სამსახურმა შეიძლება ადგილი შეგვიცვალოს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ ქალაქს უნდა მივწეროთ, რომ არის ასეთი იდეა მონუმენტის დადგმის შესახებ და ვთხოვოთ სტუ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მისი განთავსება.

სტუდენტი თეიმურაზ დუნდუა – ჩვენ მივესალმებით ამ იდეას, მაგრამ უკეთესი ხომ არ იქნება სანამ მერიას მივმართავთ, აზრი გვეკითხა სტუ-ში არსებული ინფრასტრუქტურის კომისიისთვისაც? ჩვენ მათთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით.

სპიკერი – ვფიქრობ უნდა შევაჯეროთ თქვენი აზრები გადაწყვეტილების სახით, რათა უფრო ადვილი გახდეს ქალაქის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობა.

წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილი პროექტის თაობაზე და პრინციპში მისაღებად ჩათვალა ამ იდეის განხორციელება, თუმცა მისი განთავსების ადგილის დაზუსტებისაგან თავი შეიკავა. იმის გამო, რომ ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე სივრცე ესაზღვრება საქალაქო სივრცეს, რომლის დომინანტს სააკაძის ძეგლი წარმოადგენს, ჯერ უნდა შედგენილი იქნას პროექტი და გაისინჯოს ეს ვერტიკალი მოცემულ სივრცეში, (გამოითქვა აზრი, რომ შესაძლებელია მისი განთავსება I კორპუსის წინა მოედანზეც), ამის შემდეგ პროექტი უნდა განიხილოს სტუ-ს სტრატეგიული განვითარების კომისიამ და მერე წარედგინოს ქ. თბილისის არქიტექტურულ სამსახურს, რომელმაც უნდა გასცეს ნებართვა. საბოლოოდ საბჭო შეჯერდა შემდეგ გადაწყვიტილებაზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 8 აპრილის №30 სხდომაზე, სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ნოდარ წიგნაძის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიაზე – სკვერში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მონუმენტის დადგმის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა – ეთხოვოს ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს განიხილოს აღნიშნული მონუმენტის, სტუ-ს რომელიმე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, დადგმის შესაძლებლობის შესახებ.

სპიკერი – სტუდენტმა ბენო გეგეჭკორმა, გვთხოვა, დაგვემატებინა მიმდინარე საკითხებში ერთი საკითხი, მოვუსმინოთ მას.

სტუდენტი ბენო გეგეჭკორი – VIII კორპუსის I სართულზე არსებული ფართი იჯარით გვაქვს აღებული. იქ გახსნილი გვაქვს კაფე. 2საათსა და 30 წთ-

ზე, ისევე როგორც სტუ-ს სხვა კორპუსებში ითიშება წყალი. მივმართეთ წყალკანალს, მათ გვირჩიეს, რომ მივამაგროთ ვენტილების ჩასაკეტად ერთი თანამშრომელი, რომელსაც უნდა მივცეთ ანაზღაურება ხელფასის სახით.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მიმართეთ სამეურნეო სამსახურს, რომელსაც შეუძლია ამ პრობლემის გადაწყვეტა. ასეთი პირის აყვანა ასევე შესაძლებელია ხელშეკრულებით, რაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პრეროგატივაა. ჩვენ აქ ამ საკითხს ვერ გადაგიწყვიტავთ.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი / გინა გურეშიძე/